№ 139 ივლისი 4, ხუთშაბათი 1891 ივლისი 4, ხუთშაბათი № 139

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ამ ნომერში ათი გვერდია.

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი** საყოველთაოდ აცხადებს რომ:

1) ხანგრძლივ-ვადიან სესხს იძლევა უძრავს ქონებაზე: ტფილისის გუბერნიისა, ერევნისა, ბაქოსა, განჯისა, ქუთაისისა და სუხუმის განყოფილებაში.

2) ხანგრძლივ-ვადიან სესხის გატანა შეუძლიან, ვინც: 1) სახნავ-სათიბსა და საძოვარს ადგილებს დააგირავებს 61 წლითა და 8 თთვით, $54^{1}/_{2}$ წ., 48 წ. 8 თ. და $43^{1}/_{2}$ წლით და 2) ქალაქის უძრავს ქონებას დააგირავებს 36 წ. 4 თ., 29 წ. 9 თ., $27^{1}/_{2}$ წ., 19 წ. 11 თ. და 18 წ. და 7 თთვით.

3) მსესხებელი ვალდებულია გატანილს სესხში ყოველ ექვსის თთვისა ამ თავით გადაიხადოს: თუ $54^{1}/_{2}$ წ. $43^{1}/_{2}$ წ., $27^{1}/_{2}$ წ. და 18 წ. 7 თ. აქვს გატანილი სესხი, $3^{0}/_{0}$ სარგებელი; თუ 61 წ. 8 თ., 48 წ. 8 თ. 36 წ. 4 თ., 29 წ. 9 თ. და 19 წ. 11 თ.—$2^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$,

4) აღებულ სესხის გადასახდელად მსესხებელმა ყოველ ექვსის თთვისა ამ თავით უნდა გადაიხადოს: თუ სესხი გატანილი აქვს 61 წ. 8 თ. და $54^{1}/_{2}$ წ.—$^{1}/_{8}{}^{0}/_{0}$, თუ 48 წ. 8 თ. და $43^{1}/_{2}$ წ.—$^{1}/_{4}{}^{0}/_{0}$, თუ 36 წ. 4 თ.—$^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$, თუ 29 წ. 9 თ. და $27^{1}/_{2}$ წ.—$^{3}/_{4}{}^{0}/_{0}$ და თუ 19 წ. 11 თ. და 18 წ. 7 თ.—$1^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$.

5) ყოველ ამას გარდა მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ყოველ ექვსის თთვისა ამ თავითვე საზოგადო კრების დადგენილებისამებრ: თუ სოფლის მამული აქვს დაგირავებული და დამფუძნებელი წევრია—$^{1}/_{8}{}^{0}/_{0}$, თუ დამფუძნებელი წევრი არის—$^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$ თუ ქალაქის მამული აქვს დაგირავებული—$^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$ სულ ერთია, დამფუძნებელი წევრი იქნება, თუ არა. (3—87—2)

,,წერა-კითხვის საზოგადოების'' წიგნის მაღაზიაში იყიდება

დ. ზ. ბაქრაძის თხზულება

**ისტორია საქართველოსი**

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ფასი ერთი მანეთი

(10—0—10)

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ბლომად გასცა გოგირდის ფქვილი ვაზის საექიმოდ. მთხოვნელების რიცხვში გლეხობაც ბევრია. წაუღიათ გოგირდი დაღესტნის მხარეს, შულავერში, საგარეჯოს და სხვ.

გოგირდის ფქვილით ნაცარს აშორებენ ყურძენს.

⁂ თავის დროზედ სამეურნეო საზოგადოებამ ბევრი თესლი დაარიგა აბრეშუმის ჭიისა ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილებში. სხვათა შორის კავკასიის იქითა მხარესაც გაიტანეს აბრეშუმის ჭიის თესლი, უფრო საცდელად. ეხლა სამეურნეო საზოგადოებას ცნობა მოსვლია ყველა იმ ადგილებიდამ, სადაც წაღებული თესლი მოაშენეს, და ძლიერ კარგს მოსავალს იწერებიან აბრეშუმისას, განსაკუთრებით გურიისა და იმიერ კავკასიის მხარეში.

⁂ ვინც ხშირად დადის წმ. ბარბარეს ეკკლესიაში, ნავთლუღში, უკვე იცის, რა უსიამოვნებაა, ხან-და-ხან დიდი აყალ-მაყალი და ჩხუბიც-კი მოხდება ხოლმე ეტლში მჯდომის და მეეტლეს შორის გზის ფასის გამო. ნიხრის მიხედვით ქალაქიდგან წმ. ბარბარეს ეკლესიამდე გზის ფასი არის 1 მ. და 20 კ., როდესაც რეიტრის ქუჩამდე ღირს მხოლოდ 50 კ. იმის მიუხედავად, რომ ქალაქიდგან ამ უკანასკნელს ადგილამდე უფრო დიდი მანძილია, ვიდრე ეკკლესიამდე. ეტლი, რომელიც მიდის რეიტრის ქუჩაზე, იძულებული არის ქუჩებში მიუხ-მოუხვიოს და ამიტომ ძალიან შორს უვლის, ეკკლესიაში წამსვლელი-კი პირდა-პირ მინდორზე გადადის და მოკლედ სჭრის გზას ამიტომ ხალხი ვერ შეეჩვია ზემოხსენებულს ნიხრს, რომელიც ყოველთვის უთანხმოებას და ჩხუბს ჰბადავს მგზავრთა და მეეტლეთა შორის.

ჩვენის აზრით ეს ფასი უნდა შემცირდეს და აქამომდისაც ათი შაური დაინიშნოს. სასურველია, რომ ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ახალი განკარგულება მოახდინოს ამის შესახებ.

⁂ *თელავი:* დღეს, 30 ივნისს, თელავის საკრებულო ტაძარში წირვის შემდეგ გარდახდილი იქმნა პანაშვიდი მოსახსენებლად განსვენებულის დავით იესეს ძის ჩუბინაშვილისა. პანაშვიდზედ დაესწრო თელავის მაზრის უფროსი თავისის სახლობით და ადგილობრივი მანდილოსანნი, შავად მოსილი. ადგილობრივმა მღვდელმა ი. შიუკაშვილმა წარმოსთქვა სამძიმრის სიტყვა. პანაშვიდს დაესწრო ინტელიგენცია უფრო მოსული საგარაკოდ, ვიდრე ადგილობრივი.

⁂ *იყალთო:* 27 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზედ, უცებ მოიღრუბლა და, თუმცა წვიმა თითქმის არა ყოფილა, მაგრამ ნაცვლად ამისა მეხი დაეცა ორს შენობას: თელავის მცხოვრებლის ვ. გ. გლურჯიძის სახლს და სომეხთა „გორის-ჯვრის“ ეკკლესიას, მხოლოდ ზარალი არა მოუტანია-რა.

⁂ *კახეთი.* კახეთში, და განსაკუთრებით თელავის მაზრაში, კიდევ ბევრი არის გასაყიდი ღვინოები, თუმცა ახალი მოსავალიც კარზედ არის მომდგარი და კარგი მოსავალიცაა. სირაჯის ხსენება სრულიად არ არის, რადგან იმათ განჯურის ღვინოებით გაუვსიათ ტფილისის სარდაფები და წარწერები-კი მშვენივრად შეუღებიათ წითელ-ყვითელის ფერით: „აქ ისყიდება კახური ღვინოებიო“. მილდიუსა და ნაცარს წელს უფრო ბევრნი სწამლობენ. თუ ჩვენმა დიდ ვენახების პატრონმა არ გამოიღვიძეს და თავიანთ ღვინოებს არა უშველესრა, მერმის უფრო ზურგს შეაქცევენ სირაჯები და იაფად დაიწყებენ თხოვნას. როდესაც კარგ ფასად ისყიდება ღვინო, ჯერ მაშინაც ძლივს ჰფარავს ხარჯს და ახლანდელზედ ძლიერ რომ დაიაფდეს, მაშინ ხომ დიდს ზარალში იქმნება კახეთის მევენახე. დრო არის, რომ ჩვენმა მამულის პატრონებმა შესაფერი ყურადღება მიაქციონ თავიანთს დავრდომილს, გალარიბებულს მდგომარეობას და შეუდგნენ ერთგულად როგორც სამეურნეო სწავლის მიღებას, ეგრეთვე ვაჭრობის საქმის შესწავლასაც.

⁂ *კახეთიდგანვე:* კახეთში წელს თუმცა ბევრს მოუყვანია აბრეშუმის ჭია, მაგრამ ათასში ერსთ გარდა ყველას გაჰფუჭებია. როგორც თვით საქმიდამ სჩანს, ეს სულ იმის ბრალი ყოფილა, რომ ჭიისთვის კარგად ვერ მოუვლიათ და სითბო-სიცივესაგან ჯეროვანად ვერ დაუფარავთ. ფუტკრის მოვლას ხომ ჩვენში ყურადღებას არავინ აქცევს, თუმცა ეს შრომა დიდს ნაყოფს მისცემს ჩვენ ხალხს. თვით აქაური სოფლის მასწავლებელნიც ამ საქმეში უფრო სხვის ფეხის ხმას მისდევენ, თორემ თვით არც გული აქვთ ამისი და არც ჯეროვანი სწავლა უწყობთ ხელს.

⁂ *შემახიის მაზრიდგან გვწერენ:* ჩვენსკენ ყველაფერი ჩვენებურად, აზიურად ხდება და კეთდება.

ამას წინად ერთი გამოწკეპილი თათარი სხვის მუშებს მიუხდა და ბატონის ბძანება გადასცა: მიანებეთ თავი თქვენს საქმეს და წამოდით: ბატონს სამუშაო აქვსო. შორიდამ სამუშაოდ მოსული მუშები ყოველს წამსაც-კი აფასებენ, ცდილობენ, საქმეს მუყაითად ეკიდებიან, რომ ორიოდე გროში შეიძინონ და უპატრონოდ დატოვებულს ცოლ-შვილს რაიმე შემწეობა მისცენ.

მუშების უარმა გააცეცხლა ბატონის მოციქული. მოციქულმა მათრახით მოინდომა ურჩი მუშების გარეკვა (ბატონის ერთგულობაა!.). მუშები მათრახს არ შეუშინდნენ და ლაზათიანად მითელეს ჩვენი მოციქული. შეიტყო ბატონმა და თქვენ

# ფელეტონი

## თამასუქი

(მოთხრობა დე-ლეპინესი)

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 137)

### თავი III

პირველი ეჭვი

ვიდრე გენერალი ქუჩაში გავიდოდა, მეორე მხრიდგან ელენე მივიდა სახლში. ყმაწვილს ქალსაც გენერალსავით მოჭმუხვნილი და დაღვრემილი ჰქონდა სახე და კმაყოფილება აღარ ეხატებოდა ზედ, რომელიც ყოველთვის აჩნევია ქალის სახეს, როცა იგი დარწმუნებულია, რომ ვუყვარვარ ვისმე და მოვწონვარო.

როზას გაუკვირდა, როცა დაინახა ქალბატონი, და შეშინებითა ჰკითხა:

— რა დაგემართა, ქალბატონო?

— არაფერიო, უპასუხა ელენემ, თუმცა ტუჩები-კი უთრთოდა და უკანკალებდა: არაფერი. მგონი შემცივდა... შტეინბერგი მოვიდა?—იკითხა ბოლოს იმედ-დაკარგულმა. ფრანცის გვარი იყო შტეინბერგი.

— არა ჯერ, ქალბატონო.

— ჰმ... საკვირველია!... ყრუდ ჩაილაპარაკა ელენემ.

— ერთი ვიღაც სხვა-კი გიახლათ, —უპასუხა როზამ ღიმილით.

— ვინ? სწრაფადაო ჰკითხა ელენემ. როზა შეკრთა და არც იცოდა რა ეპასუხნა.

— ღმერთო ჩემო! გენერალი დურანი ხომ არა? თითქმის შეჰკივლა ელენემ.

— დიაღ, ის გახლავთ, ეს არის ახლა მობრძანდა.

ელენეს ფერი წაუვიდა.

— შენა ნახე?... რა გითხრა? რა გელაპარაკა?... სხვა ხომ არავინ უნახავს აქა?... ჯერ ზაფხული ხომ არ დამდგარა!...

ისეთის აღშფოთებით ლაპარაკობდა ელენე, რომ როზამ პასუხის მიცემაც ვერ მოასწრო, და რომ ეთქვა კიდეც რამე, ქალბატონი მაინც ვერაფერს ვერ მიხვდებოდა; მეტის აღშფოთებისა, მეტის შეწუხებისა და სასოწარკვეთილებისგან ელენე სავარძელზე დაეშვა, და ცივი ხელები გაცხელებულს შუბლზედ იტაცა და ღრმად ამოიოხრა:

— ოჰ, ღმერთო! ღმერთო! რა უბედური დღეა!

როზამ ქალბატონის შეწუხება ველარ გაბედა, სულ-განაბული იდგა და განცვიფრებული შესცქეროდა. ბოლოს ელენე წამოიწია.

— როდის მოვა გენერალი?

— ამ საღამოს, ქალბატონო.

— ღმერთო ჩემო! რაღა ვუყო ახლა იმისს ოთახს? აჰ!

— დამშვიდდით ქალბატონო, გენერალს ოთახისა არა უბრძანებია-რა.

ყმაწვილმა ქალმა თავის-თავად ჩაილაპარაკა:

— ჰმ! ვეტყვი, რომ რადგანაც ამდენ ხანს არ მოხვედი, გავაქირავე მეთქი შენი ოთახი, მხატვარს მივაქირავე-მეთქი თავისს სახელოსნოსათვის. მგონია, რომ ჩემის სახლის პატრონი მე ვარ?... ჰმ!... როგორმე უნდა მოვახერხო, რომ გენერალი დღეს შტეინბერგს არ შეჰხვდეს. ისე მოვახერხებ, რომ მე და ის მარტოდ არ დავრჩეთ. ოჰ, ეს კაცი ყოველთვის მათქმევინებდა ხოლო იმას, რის გაგებაც უნდოდა, და მცირე ეჭვიც-კი...

ელენემ ველარ დაასრულა სიტყვა და შეწუხებული დააცქერდა როზას.

— დარწმუნებული ხარ, რომ გენერალმა არა იცის-რა?

მოახლემ თავი დაიქნია.

— მაშ თუ აგრეა, შტეინბერგი ნახე, როცა შინ იქნება, და უთხარი, რომ იმ წამსვე ჩემთან მოვიდეს მოსალაპარაკებლად... მანამდე-კი მე ხუთიოდე ბარათს მივსწერ ჩვენს მახლობელ ნაცნობებს, რომ ამ საღამოს მეწვივნენ... და გენერალს-კი ვეტყვი, წვეულება თქვენთვის გავმართე-მეთქი...

— ქალბატონო, არ ემჯობინებოდა, რო ყველაფერი გეთქვათ გენერლისათვისა? გენერალს ისე უყვარხართ, რომ...

— არას დროს!—შეჰყვირა ელენემ და მერე ისეთის ხმით, რომ როზამ სიტყვის შებრუნება ველარ გაუბედა.

— აასრულე, რაც გიბრძანე!—სასტიკად უთხრა ელენემ. როზა ჩუმად გავიდა მეორე ოთახში.

ელენე-კი საწერს სტოლს მიუჯდა და საჩქაროდ რამდენიმე ბარათი დასწერა. მერე გულ-მოსულმა იატაკზედ გადაისროლა კალამი და წამოხტა:

— აჰ, ღმერთო, რა უბედურებაა!.. რამდენიმე დღე რომ მოეცადნა, ყველაფერი გათავებული იქნებოდა... აჰ, რა ვქნა, რა უბედურებაა!...

უცებ გარედგან ცხენის ფეხის ხმა შემოისმა. ელენე შეჰკრთა, მივარდა ფანჯარას, თმა გაისწორა, მიეყუდა ბუხარს და ამოიოხრა.

— ოჰ, გული რა რიგად მიცემს!... რა საბრალოა ის ქალი, რომელსაც უყვარს!

კარი რომ შემოაღეს, ელენეს სახე სულ ერთიანად გაფითრებული ჰქონდა.

შტეინბერგი შემოვიდა

— ძლივს არ მოხვედით, ფრანც, შესძახა ელენემ: დიდად მეწყინა თქვენი გაქცევა. მერე რომ აღარც გამოჩნდით... შემეშინდა, ცხენიდგან ხომ არ გადმოვარდა-მეთქი.

— მომიტევეთ მშვენიერო ელენე, უპასუხა ყმაწვილმა კაცმა. რასაც თქვენ გაქცევას ეძახით, ის სირცხვილით მომივიდა: ყველამ ჩვენ დაგვიწყო ცქერა და...

— მაშ თუ აგრეა ჩემი ქმრობისაც

მტერს, რაც დღე მუშებს დაადგათ. რადა, ბატონო?—იკითხავთ. იმიტომ რომ ბატონის ურჩობა, უკადრისობაა ჩვენში... აქ მოსული და არ მოსული, რაკი მუშაა და ღარიბულად აცვია, მოვალეა ყველა ბატონის მორჩილი იყოს... ცემის გარდა, საცოდავი მუშები დაამწყვდიეს კიდეც.

მოდი და ნუ იტყვი რომ ჩვენსკენ ჯერ ისევ ჩვენებურად აზიურად იქცევიან, ვისაც-კი ცოტა რამ ძალა აქვს ხელში.

⁂ ივლისის პირველს სიონის ქუჩაზე მცხოვრებელმა ოთარ სოლომონიძემ პოლიციაში გამოაცხა, რომ მიხეილ თეთრაძემ წყვილი ფეხსაცმელი და ახალუხი მომპარაო.

⁂ 2 ივლისს ლაზარე ბათიევის შვილი გოგილოს აბანოსთან მტკვრის პირას თამაშობდა, წყალში გადავარდა წყალში და დაირჩო.

◆

## ᲐᲠᲩᲘᲚᲣᲠᲘ ᲨᲕᲘᲓ-ᲗᲐᲕᲘ,

(საამდროო ამოცანები)

Ე

**ე**ნა მისი, წერის გვარი, მოგვაგონებს მის დიდს მამას,
**ლ**ომის ლეკვზე რაც შოთამ სთქვა, ის უხდება სწორედ ამას;
**ო**ქროდ ბრწყინავს თვისს სქეს შორის, ამბავს სწერს, თუ თარგმნის დრამას,
**ს**ხვა ბევრივით არ დაცმუკავს, არც ალმერთებს ჩაცმა-ჭამას.

◆

## ᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲚᲘᲡᲐ

(წერილი ქართლიდგან)

ბინდ-ბუნდად მახსოვს შამილობის დრო, როცა ლეკები კიდევ კანტიკუნტად გამოითარეშებდნენ კახეთის სოფლებში და შიშის ზარს დასცემდნენ ხოლმე ხალხს; მახსოვს, როდესაც ჩვენს ქართლში სხვა-და-სხვა ავაზაკები ხალხს აწიოკებდნენ. ბევრჯელ გაჭირვეულებული დავუჩუმებივართ რომელისამე ავაზაკის ხსენებითა, საბანს ქვეშ ჩავმძვრალვარ, ზღარბსავით მოვკუნტულვარ, მხოლოდ ცალის თვალისათვის საბანქვეშიდამ ხანი დამიტოვებია, რომ ავაზაკის შემოსვლისათვის თვალი მედევნებინა.

დღეს თუმცა ბავშურად საბანში აღარა ვძვრები, რადგანაც დიდი ვარ და მცხვენიან ასეთის საქციელისა, მაგრამ, უკაცრაულ პასუხი კია, ძალიან მეშინიან. წარმოიდგინეთ ჩვენი ყოფა-ცხოვრება. სამმა ავაზაკმა სწორედ ლეკიანობა ჩამოაგდო ქართლში. ძილი აღარა ვისა აქვს და მოსვენება. აი ასეთი ჩვენი „მოდედლება“, სიმხდალე ხელს უმართავს სამს ავაზაკს და ისინიც ჰბატონობენ რაღა მთელს მაზრაში.

ისე, იმგვარად, როგორც დღეს იმათ დასდევენ, დაჭერა მათი, ან დახოცვა ყოვლად შეუძლებელია. მათი მდევარი ყაჩაღურადვე უნდა მოიქცეს; მდევარი ისე უნდა გაიჭრას ტყეში, როგორც თვით ავაზაკია გაჭრილი.

ეს ყაჩაღები სამს ალაგას დაიარებიან: ატენისა, ანუ ბაზნევის ხეობაში, სადაც ქართველიშვილის და ზეზემანის რკინის გზაა გაყვანილი, ჯავის ხეობაში და დუშეთის მაზრის ზოგიერთს სოფლებში, რომლებიც ზედ აკრავს გორის მაზრასა. ერთი ავაზაკთაგანი—ტიტე ჯიოშვილი—გამოღმა მხრელია, კარგად იცის საციციანოს მთის გზები, იცის კარგად ატენის და ბობნევის ხეობა, მეორემ--ხასიშვილმა, რომელიც ნარელია,—კარგად იცის ჯავის ხეობა, მაღრანდოვრეთი; მესამე—ხუბულური—დუშეთის მაზრელია. ამიტომაც ესენი ამ სამს ალაგს არა შორდებიან; დღეს რომ ატენის ხეობაში, ან საციციანოს მხარეს არიან, ხვალ ჯავის ხეობისაკენ ამოჰყობენ თავსა, ზეგ-მეჯუდის ხეობაზედ, სადაც უმთავრესი ბინები აქვთ, სადაც საყვარლები ჰყავთ დაბინავებულები, ის არე-მარე უნდა შეუკრან, იქ უნდა უყარაულონ; მხოლოდ ამ ადგილებში შეხვდებიან და მაშინ შეიძლება ან დაჭერა, ან დახოცვა. თორემ როდესაც ავაზაკი ცხენს აკრავს, გამოსულა მინდვრად, გაქანებული მიდის, იმის დაჭერა ძნელია. მერე ამათთანა ავაზაკებისა, რომელთაც მთელი ქართლი თავის ხუთის თითივით იციან, განსაკუთრებით ხუბულურმა და ჯიოშვილმა, რომელთაც ზეზემანებთან უსამხურიათ, ყოფილან ბიჭებად სხვა-და სხვა თავადიშვილებთან,—დიაღ, ამათთანა ავაზაკების დაჭერა ძნელია.

რითი იყო შესანიშნავი ტარას მგალობლიშვილი, რომლის შესახებაც იმ დღეს რუსული გაზეთები ლაპარაკობდნენ და რომელზედაც ამ ორის წლის წინად „ივერიაშიც“ იყო ლაპარაკი. გულადობის გარდა, ტარასს დიდი მოხერხებაც ჰქონდა: თავიდამ ბოლომდის ოსურად იყო ჩაცმული, ვერ გამოარჩევდა კაცი ყაჩაღ-ოსში, როდესაც იგი მდევრად წავიდოდა თავისის ერთგულის ქართველი ბიჭებითა. თივის დღეში მდევრად წასვლის დროს იმას ოსი არ გაუყოლებია, რადგან ოსი შესაძლოა ადვილად ჩასდგეს შენს ღალატში და თავისი მოძმე-ოსი არ გასცეს, არ გაჰყიდოს სხვაზედ შენის გულისათვის, თუნდაც მისი მოსისხლეც იყოს. ტარასი შეიტყობდა თუ არა ბინებსა, იმ არე-მარეს არ გაშორდებოდა, ყაჩაღურად დადიოდა ბინის მიდამოში და ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ არ შეჰხვედრიყო პირისპირ და უნარი არ ექნა. არც ერთი ავაზაკთა გუნდი, არც ერთი გავარდნილი კაცი არ გადურჩა რომ ან არ დაეჭიროს, ან არ მოეკლას, ან არ დაეჩეხოს და ნადავლი არ წაერთმევინოს. ეხლაც მდევრები ასე უნდა მოიქცნენ, თორემ მათი დაჭერა ძალიან გაძნელდება.

თუ გორის მაზრის სამმართველოს ჩაფრებად და მათ უფროსებად, რომლებსაც „ურიადნიკებს“ უწოდებენ, ოსები ეყოლება, უნდა მოგახსენოთ, რომ ოსებს—ავაზაკებს ბურთი და მოედანი ხელში ეჭირებათ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თვით ჩაფრები აფუჭებენ საქმესა. მაგალითები ბევრია, მაგრამ მოვიყვან ერთსა: როდესაც გორის მაზრის უფროსის თანაშემწე ავაზაკების კვალს დაადგა ჯავის ხეობაში, აღარც ერთი ჩაფარი არ გაჰყვა, თავი მოიავადმყოფეს თურმე და მხოლოდ როცა თანაშემწემ შეუტია, მხოლოდ მაშინ ძლივს გაბედეს გაყოლა, მაგრამ „ურიადნიკი“-კი მაინც ლოგინიდამ არ დაიძრა, ძრიელ ავად გავხდიო. პოლიციის მოხელე ამათთანა კაცებით ვერას გააკეთებს; რა ჰქნას მოხელემ, როდესაც ჩაფრები, სხვა გზას უჩვენებენ, უჩვენებენ იმ გზასა, სადაც ავაზაკების ხსენებაც არა ყოფილა. ეხლა ისეთი გაჭირვებაა ცხოვრებისა, რომ ძალიან კარგი მოხერხებული და გულადი ქართველი ბიჭები წავლენ ჩაფრებად და „ურიადნიკებად“; ხოლო როდესაც გაჭირვების დროს ქართველი კაცი გვერდში გიდგია, ბევრად უფრო მეტი იმედია, რომ ის არ გიღალატებს, ძმურად გაგიტანს. ჩვენის აზრით, ძალიან კარგს იზამდა ჩვენი ადმინისტრაცია, რომ ოსებს აღარ დააყენებდეს ქართლში არც ჩაფრად და არც „ურიადნიკად“. რა საჭირონი არიან ისინი, როდესაც ქართველები სიხარულით წავლენ ჩაფრებადაცა და ურიადნიკებადაც.

დღეს ავაზაკებს, თუმცა ნაცადი კაცები დასდევენ (გუგუშვილი, ფალავა, და სხვები), მაგრამ ამათ გზები არ იციან, გზებს გარდა, ავაზაკებს ბლომად ჰყავს ჯაშუშები, და მდევრებს-კი ნაკლებად. ღვთის წინაშე, მინამ ესენი მოვიდოდნენ უფრო თავისუფლად დაბძანდებოდნენ ავაზაკები, მხოლოდ ერიდებოდნენ იმ მხარეს, საითაც მაზრის თანაშემწე დადიოდა. დღეს-კი იმალვენ თავსა. აგერ ორი კვირა მეტია, რაც ს. ხოჯაში ოსი ბურაშვილი მოჰკლეს და ფული გაიტანეს და მას შემდეგ მიწყდა მათი ხმა; თ. ფალავა და გუგუშვილი, როგორც ამბობენ, ფეხ-და-ფეხ დასდევენ, მაგრამ ჯერ ერთმანეთს პირის-პირ არ შეხვედრიან.

საქმე ის არის, რომ იმ სამის ავაზაკის სახელით მთელი ოსეთი დღეს ავაზაკობს. გორის მაზრას თითქმის გარშემო ოსები აკრავან. ერთი ვინმე დაიწყებს თუ არა ავაზაკობას, ყველანი მოჰყვებიან ცარცვა-გლეჯასა, ხალხის დაწიოკებასა. ეს პირველი მაგალითი არ არის. ყოველთვის ასეა ხოლმე გორისა და დუშეთის მაზრებში; ყველანაირი ქურდობა, ავაზაკობა არის თითქო გასისხლ-ხორცებული, ბუნებად გარდაქცეული აქვთ ცუდ-კაცობა. ჩვენის აზრით, თუ მთავრობამ რამე საფუძვლიანი ღონე არ იღონა მათ წინააღმდეგ, ის ამბავი, რის მოწამენიც დღეს ჩვენა ვართ, ჩვენს ქვეყანაში გამოუღეველი იქნება. ვსთქვათ, დაიჭირეს ეს სამი ავაზაკი და ღირსეულად დასაჯეს; ორ-სამ წელიწადს მიჩუმდებიან და მერე ისევ თავს ამოჰყობს ვინმე. ორის-სამის წლის წინად ხეთაგური იკლებდა ქართლსა; დაიჭირეს, მიჩუმდნენ; ახლა ამათ ამოჰყვეს თავი; ამათ დაიჭერენ, მერე კიდევ, რამდენსამე წლის შემდეგ, სხვები გამოჩნდებიან. ვიმეორებთ, თუ საფუძვლიანათ, ღრმად არ ჩაჰკიდებს ხელს მთავრობა ოსების ყოფა-ცხოვრების, ვითარების განკარგებას, არ იზრუნებს მათ კეთილდღეობისა და განათლებისათვის, მანამ ასე იქნება საქმე. რასაკვირელია, რომ მწირის ქვეყნებისა და ადგილ-მამულის შვილი, ღარიბი, ღატაკი, ყოვლად უსახსარო და თითქმის უსავანო, მასთან უვიცი, მტკნარი ბრიყვი, სრულიად უწრთვნელი უზრდელი ავაზაკობას, ძარცვა-გლეჯვას რჩეობდეს და დამშვიდებულს საზოგადოებას არ ეტანებოდეს!

აყვედრიან ზოგიერთს პოლიციის მოხელეებს, რომ გულით არ ეკიდებიან საქმეს, თორემ აქნამდის დაიჭერდნენო. გორის მაზრაში, თუ არა ვსტყუვდები, სულ ოცდა-ხუთი ჩაფარია; თითო ბოქაულს ორის მეტი ჩაფარი არა ჰყავს, ისიც ისეთი ჩაფრები ჰყავთ, რომ (როგორც ზემოდაც ვსთქვით) იმათის შემწეობით საქმის გაკეთება შეუძლებელია. ბოქაულს მარტო არა შეუძლიან-რა, თუ სხვებიც არ მიეხმარებიან.

**

ასეთს ყოფაშია დღეს ჩვენი გორის მაზრა. არც თუ „ქართლის მეთაური“—გორია—კარგს ყოფაში. რაც რამ მამულები ჰქონია საბრალო ქალაქსა, სულ კერძო მოქალაქეებს დაუჭერიათ, რადგანაც ქალაქის თვითმართველობას ყური არ უგდია; ათას ხუთასის დესიატინიდამ დღეს ქალაქს ხუთასიც არსად უჩანს, სულ წაუღწამოუღიათ.

აწინდელმა ქალაქის თავმა თვისი ყურადღება ქალაქის მამულებს მიაქცია: დაიჭირეს საკუთარი ვექილი, რომელმაც მოტაცებულის მამულების დაბრუნებისათვის უნდა იზრუნოს; დაიჭირეს კაცი, რომელმაც ყური უნდა უგდოს მამულებსა, რო შემდეგისათვის შეაყენონ ტაციობა. აწინდელი ქალაქის თავი ზრუნავს კიდევ იმისათვის, რომ როგორმე ქალაქის ხიდი, რომელიც ხაზინის ხელშია და ის იღებს ბაჟს, ვინემ დახარჯული ფული შესდგებოდეს, გადავიდეს თვითმართველობის ხელში. თვითმართველობა შეავსებს ხა-

---

უნდა გეშინოდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ!—სასტიკის კილოთი უთხრა ელენემ. ღმერთო! სჩანს, მკვდრებსაც შესძლებიათ შურის-ძიება! დაუმატა ბოლოს და ტირილს მოჰყვა.

ფრანცი მუხლებზედ დაეცა, ხელების კოცნა დაუწყო, ეფიცებოდა, მიყვარხარო, დიდის სიხარულით უამბობდა თავისს ბედნიერებას...

ალბად ძალიან მჭევრ-მეტყველი იყო ფრანცი, რადგან ხუთს წუთს შემდეგ ელენე უკვე უღიმოდა და შესცინოდა.

— ჩემო ძვირფასო! უთხრა ელენემ: მწუხარე დღე გაგვითენდა... გენერალი დურანი ჩამოსულა!...

შტეინბერგს სახე შეეჭმუხნა.

— ბევრჯელ მიამბნია შენთვის, ჩემო ფრანც, რა მდგომარეობაში ვიყავით მე და გენერალი. თუმცა ვერ გამიბედა ჯერ თავისს გულის პასუხის გამოცხადება, მაგრამ კარგად-კი ვატყობ, რა გრძნობაც აღელვებს და აშფოთებს. განგებ ვცდილობდი, ისე მომეხერხებინა, რომ არა ეთქვა-რა. როცა შეიტყობს, რომ მე მეორე ქმარს ვირთავ, ყოვლის ღონის-ძიებით ეცდება ჯვარის-წერა დაგვიშალოს როგორმე. ვიცი, რომ თავისს დღეში არ შემიძულებს, მაგრამ ბრძოლისა მეშინიან: ბრძოლას ვერ ავიტან.

— მაშ რას აპირებ?

— მინდა, რომ მე და შენ ერთად წავიდეთ...

— როდის?—აღშფოთებით იკითხა ფრანცმა.

— ხვალ ღამ...

— სად უნდა წავიდეთ?

— იტალიაში... იქ თავისუფლად შეგვიძლიან ჯვარის დაწერა... იქ არა დაგვიშლის-რა. როცა დავბრუნდებით, აქ გადავიხდით წესსა და რიგს. მაშინ ჯვარ-დაწერილები ვიქნებით და ღმერთი მოწყალეა, ყველაფერი კარგად გარიგდება.

— კარგი, მაგრამ... ხვალამდის ღენერალი ხომ ყველაფერს შეიტყობს.

— არა, ვერ მიგვიხვდება, საქმის გამოკითხვა და გამოწვრილვა არ უყვარს; ამას გარდა გენერალს როზას მეტი ჯერ არავინ უნახავს და, ეს გოგო-კი რომ არ გაგვთქვამდა, დარწმუნებული ვარ.

— გენერალი, რასაკვირველია, მოვა თქვენს სანახავად?

— ამ საღამოს უნდა მოვიდეს.

— რას ეტყვით, თუ თავის ოთახში დაბინავება მოინდომა?

— იმას ვეტყვი, რომ ჯერ არ მოგელოდით და მხატვარს მივეცი-მეთქი ქირით ოთახი,—სიცილით უპასუხა ელენემ.

— არა, აგრე არ ივარგებს,—დაფიქრებით წარმოსთქვა ფრანცმა: ვეჭვობ, რომ, როცა საღამოზედ ერთად დარჩებით...

— ოჰ, მაგისი-კი ნუ გეშინიან! საქმე ისე მოვაწყე, რომ მარტო არ დავრჩეთ. არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ გენერლის ასე მოულოდნელი მოსვლა რაღაც ამბავი უნდა იყოს. არც-კი გამიკვირდება, რომ მკითხოს კიდეც, აქამდის ქვრივად რად დარჩიო. ამიტომ, ამაღამ წვეულებასა ვმართავ; ხვალ ვეტყვი, რომ საქმეები გამომიჩნდა და სხვაგან უნდა წავიდე-მეთქი. ვსთხოვ, რომ ჩემ მაგიერად თქვენა ნახეთ ჩემი ქალი სასწავლებელში-მეთქი; საღამოზედ თავს მოვიავანდმყოფებ და...

— აი,—სიცილით გააწყვეტინა სიტყვა ფრანცმა: ქალები სულ მაგისთანა...

— განა გწყინთ, რომ ამისთანები ვართ?—ჰკითხა ნაზად ელენემ და თავი მხარზედ დაადო.

ფრანცმა შუბლში აკოცა. ელენეს თავი ცხელი ჰქონდა.

— სიცხე გაქვს? ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა.

— ჰო, უქეიფოდა ვარ დღეს, გონება ამერია... ან განა უტანჯველად სიყვარული შეიძლება.

ფრანცმა არა უთხრა-რა... იქნება ელენეს იმედი ჰქონდა, რომ ფრანცი ეტყოდა რასმე... იქნება იმ პასუხსაც ელოდდა, რომ, როცა ადამიანი შეყვარებულია, ტანჯვა არ არისო?... ფრანცს ძალიან ვითომ-და აწუხებდა ელენეს უქეიფობა და დაუწყო ხვეწნა, რომ იტალიაში წასვლას ნუ ასჩქარდებიო: მაშინ წავიდეთ, როცა კარგა გახდები.

— არა, არა!—შეჰყვირა ელენემ!... ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ გენერალს არ შეხვდე; დიდ ხანს თქვენი დამალვაც არ იქნება.

— რამდენისამე დღით წავალ სადმე...

— არა, მაშინ სულ გახიახდება, საქმე,—სწრაფად უპასუხა ელენემ, რომელიც აქამდის ფიქრებში იყო წასული: ვიდრე ერთად ბულონის ტყეში არ გამოვჩნდებოდით, არავინ იცოდა ჩვენი ამბავი, ხვალ-კი ყველა ჩემი ნაცნობი ჩვენზედ ილაპარაკებს; ზეგ გენერალიც შეიტყობს ყველაფერს და მაშინ იმის ლაპარაკსა და ჩაციებულს გამოკითხვას თავიდგან ველარ ავიცილებ.

— თუ აგრეა, კარგი... წავიდეთ,—ამოოხვრით უპასუხა ფრანცმა, ხელზედ აკოცა და გავიდა ოთახიდგან.

ელენემ გაკვირვებით გაადევნა თვალი...

— ჰმ!... საკვირველია... წამოიძახა ელენემ: ღმერთო ჩემო!. . ნუ თუ?... არა!... როგორ იქნება, შეუძლებელია!... აჰ!... ჰკუა მებნევა. . .

. . . . . . . . . . . . . .

(შემდეგი იქნება)

ზინის ფულს და ის გროშები, რაც დღეს იჯარადარს ხვდება, რაც იმის ჯიბეში ჩადის, თვითმართველობას დარჩება. როგორც სურვილები ბევრი აქვს აწინდელს ქალაქის თავს, ისე ენერგიაც დიდი აქვს და იმედი უნდა ვიქონიოთ თავის კეთილს განზრახვებს სისრულეში მოიყვანს.

არ სძინავს ჩვენს ქალაქის პოლიციასაც. ისეთი სიჩუმე ჩამოაგდო ჩვენს ქალაქში, რომ ლამის ძაღლებსაც ყეფა დაავიწყდეთ. მაგრამ, ჩემის აზრით, ერთს ვერა ნებულობს კარგსა, სახელდობრ იმასა, რომ მშვიდობისმოყვარე გორის მცხოვრებლებს თვისს მშობლიურს გართობას უშლის, ისეთს მცხოვრებლებს, რომლებიც გათქმულნი არიან თვისის შეძლებით, კაცურის-კაცობით, დარბაისლობით; უშლიან დუდუკის დაკვრას და მით მშვიდობიანს, უვნებელ-უწყინარს სიამოვნებასა. მე აქ სამს შემთხვევას დავასახელებ და მკითხველმა განსაჯოს, დასაშლელია უმანკო დროს გატარება დუდუკით, თუ არა. გორში ერთს ყმაწვილ კაცთან სამხრობის დროს მივიდნენ მისი მეგობრები, ქართლელი თავადიშვილები; ტკბილად უკრავდნენ დუდუკსა და სიამოვნებდნენ. სახლში დაცხა; ყმაწვილი კაცები და ქალები დერეფანში დასხდნენ, მედუდუკენი კარ-წინ დასხეს და აუშფოთებლად დროს ატარებდნენ. იქვე გვერდზედ ერთს სახლში ქორწილი იყო, სადაც ბრძანდებოდნენ ზოგიერთნი გორის მოხელენიც. ვნახოთ ქორწილიდამ გამოგზავნეს კაცი და დუდუკის დაკვრა აუკრძალეს. საკუთარს სახლში აუკრძალეს სახლის პატრონს დუდუკის ყოლა!

მეორე: გორის საზაფხულო „სობრანიაში" საყმაწვილო საღამო იყო, სადაც ივანე-მედუდუკე თავისებურად ტკბილად აღუღუნებდა დუდუკსა; ყმაწვილებმა, წევრებმა „სობრანიისამ", როდესაც მუზიკაზედ ტანცაობდნენ, დუდუკი ბუფეტში გაიყვანეს და რამდენიმე ქართული, ბესიკის ხმა დააკვრევინეს. პოლიცია ყალხს დადგა, როგორ თუ ბუფეტში დუდუკს უკრავენო.

მესამე: ერთს გორელს მოქალაქეს სადილი ჰქონდა გამართული ბაღში ივანეს დუდუკითა; მიპატიჟებული ჰყავდა გორის სოვდაგრები სახლობით და, სხვათა შორის, ორი მკურნალიცა თავიანთ სახლობით. საღამო ჟამზედ მთელი ეს კომპანია ერთად წამოვიდა დუდუკით სახლებში; მასპინძელმა ყველანი მიაცილა თავ-თავის სახლებამდე დუდუკის დაკვრით და მერე რამდენისამე თვისის სტუმრით წამოვიდა ქალაქის ბაღისაკენ. გზაში დაუხვდებათ ამ დანარჩენთ ქალაქის ბოქაული ღამის დარაჯით, ალყას შემოარტყავს ამ პატიოსანს მოქალაქეთა და შეიპყრობს. ეუბნებიან, ბატონო, კინტოები ხომ არა ვართ, არ ვყვირით, არ ვლრიალებთ, უწესოებას არ ვახდენთ, არავის მშვიდობიანობას არ ვარღვევთ ჲ რად ნებულობთ ამისთანა საქმესაო.

არც ერთს ამ სამს შემთხვევაში უწესოდ არავინ მოქცეულა, წესიერება არავის დაურღვევია. ჩვენ ვიცით, რომ მინისტრის ცირკულიარით ნება-დართულია ზემო აღწერილის ნაირი უმანკო ქეიფი მშობლიურის მუსიკით, და რად უშლიან, —არ მესმის. თუ არა, დაშლაც არის და დაშლაცა: ყველას თავის თაბაუთი აქვს. მშვიდობიანს მოქალაქეებს ასე სტუქსავენ და სამიკიტნოებში და იმ ქუჩებში, სადაც სამიკიტნოებია, პატიოსანს ადამიანს არც დღე და არც ღამე არ გაევლება. აქ მუდამი ალიაქოთია, ჰიჰყინი არღნებისა და გინება-ლანძღვა კინტოებისა და უზნეო დიაცთა. რამდენჯერმე ვყოფილვართ, ამ ცოტა ხანებში, მოწმენი, რომ შიგ ქუჩაში ჰქონდათ კინტოებს სტოლები დადგმული და არღანზედ თავმიშვებული ქეიფი, მაგრამ იმათი დამშლელი არავინ ყოფილა.

მშვიდობიანს მოქალაქეებს რომ ასე ავიწროვებენ, რატომ, საიდამაც შიშია, იქ არ უჭირავთ თვალი. ნეტავ, თუ რას აკეთებდნენ, როდესაც თურმე სამი ავაზაკი ცხრას თიბათვეს განთიადისას გორში ესრედ წოდებულს „ჩანახას" დუქანში ქეიფობდნენ?

მაგრამ მშვიდობიანს მოქალაქეებზედ გამარჯვება უფრო ადვილია...

მახლას!!...

◆

# დაბა ჲ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გორი.** ბევრი სამწუხარო და ბევრიც საცინელი ამბავი ხდება ჩვენს გორის მაზრაში. გეცოდინებათ, რომ აგერ ერთი თთვეა, ყველა გორის მაზრის მცხოვრებნი ძალზე შეძრწუნდნენ და შევიწროვდნენ ავაზაკებისაგან, ყველა იმათზე ლაპარაკობს, იმათ მიერ ჩადენილს საქმეს უამბობენ ერთმანეთს, იმათი ეშინიანთ და მაზრის უფროსისაგან-კი ჯერაც ისეთი განკარგულება არ გამოსულა, რომ ხალხი დაამშვიდოს და დაიცვას ძარცვა-გლეჯისაგან. სხვა არა იყოს-რა, მთელი კალთის ოსობა არ ასვენებს ამ გვერდიძირის ქართველთა სოფლებს, ვითომ-და იმ გავარდნილ ავაზაკების სახელით. ვინ მოსთვლის, რამდენი ქურდობა და ავაზაკობა ხდება დღეს ამ ჩვენს ყბად-აღებულს მაზრაში. თითო სამამასახლისოზედ შეაწერეს თითო კაცი სადევრად, მაგრამ ეს საშუალება, ჩვენის აზრით, უნაყოფოდ ჩაივლის, რადგან არც იარაღი აქვთ ავაზაკებისთანა და არც გამოცდილება.

სადამდის მივიდა შიშის ზარი სოფლებში, ამას აშკარად ამტკიცებს შემდეგი, სოფ. ფლავისმანში, მომხდარი ამბავი: თიბათვის 23-ს სოფ. ფლავისმანში მცხოვრებელ გასათხოვარმა ქალმა გიუნაშვილისამ, ესე 15—16 წლისამ, დილის 10 საათზედ ჩაიცვა თურმე თავისის ძმის ტანისამოსი, მოიკრა ხანჯალი, ჩუმად აიპარა იქვე გორაზედ და გადმოსძახა: „ფლავისმანელებო! ჩქარა ამოგვიტანეთ პური, ღვინო და ფულიც, თორემ ჩამოვალთ და სულ ერთიანად ამოგწყვეტავთო". სოფელში დედაკაცებს ძალიან შეეშინდათ, შეუდგათ ერთი ფაციაქალი და წივილ-კივილი, ამ ხმაურობაზედ ვენახებსა და მინდვრებში სამუშაოდ გასული ხალხი მოგროვდა. ბოლოს აირჩიეს ერთი ხანში შესული კაცი, გვარად ტიტულაშვილი, და მიუგზავნეს ვითომ ავაზაკს, რომ ოღონდ ნუ დაგვანიავებთ და ნუ დაგვხოცავთ და რაცა გსურთ, მიირთვითო. ეს თხოვნა შეიწყნარა ჩოხაში გახვეულმა გოგომ, მაგრამ ცოტა არ იყოს ხუმრობას ველარ გაუძლო და შინისაკენ დაეშვა. მაშინ უფრო ბლავილი შექნეს სოფელში, მიგზავნილი მოციქული უფრო თავმდაბლად ევედრებოდა და ელალადებოდა. ყაჩაღმა გოგომ ამოღებულის ხანჯლით უთხრა, რომ იქით მომეცალეთ, ამხანაგებს უნდა დავუძახო, ქვევით არიანო, და შევარდა იქვე თავის სახლში, მოჰხურა კარები და ტანისამოსი გამოიცვალა. ისე დაფრთხა ხალხი, რომ მანამ ყმაწვილი ქალი გამოვიდა ქალურსავე ტანისამოსში ჩაცმული, ხალხი სულ ერთიანად მიიფანტ-მოიფანტა სახლებში და ცხვირი აღარ გამოუყვიათ გარეთ გულ-გახეთქილებს.

აი მეორე ამისთანავე ამბავი: სოფ. არცევში მთელის სოფლის ქალები წავიდნენ თრიმლის მოსაკრებად. ერთი დედაკაცი მათ არ წაჰყოლია, ჩაუცვამს თავის ქმრის ტანისამოსი, შეიარაღებულა, სხვა გზით წინ უყლია ჲ სოფლის დედაკაცებისათვის ერთბაშად დაუყვირია: აბა, სად წახვალთ, თქვე ასეთ ისეთებოო. დედაკაცებს რომ დაუნახავთ, ავაზაკები ჰგონებიათ, დაჰხეთქიათ გულები და გამოქცეულან თავ-პირის მტვრევით.—ყოველს ცისმარე ღამეს, ვისაც-კი ცოტა რამ შეძლება აქვს, მოელის ან თითონ ავაზაკებს ან იმათ მიგზავნილს კაცებს. ყველა გაფაციცებითა ჰყარაულობს თავისს კერასა და ცოლშვილს, ბევრს მთელის ღამეობით არა სძინავთ და ჩასაფრებულნი უცდიან, ასე რომ, ისე კაცმაც რომ გაიაროს და ვერ იცნონ, იმასაც ესვრიან თოფს. ამას წინად მეჯრუხევის მცხოვრებლის ლ. თუთაშვილის ბიჭს, რომელიც მინდორში საქონელს აძოვებდა თურმე, შემოჰხვედრია ორი ცხენოსანი კაცი და უკითხავთ, ლევან თულაშვილი სად არისო. ბიჭსაც უპასუხნია, შინ გახლავთო. წასულან თუ არა მგზავრები, გულ-გახეთქილი ბიჭი შინ გამოქცეულა და ყველაფერი უამბნია. თულაშვილს შეეშინდა, რადგან ავაზაკებმა იმ წინაზე კაცები მიუგზავნეს, ფული მოგვეცი, თორემ აგიკლებთო. იფიქრა, ეს არის უთუოდ ამაღამ დამესხმიან ავაზაკებიო, და თავისს თადარიგს შეუდგა. მაშინვე შეატყობინა ადგილობრივს ბოქაულს, აბა მიშველე, თორემ ამაღამ აკლებას მიპირებენო. ბოქაულიც დაფაცურდა, შეჰკრიბა ორმოცამდე კაცი და თულაშვილის კარებზე დააყენა იმ ღამეს, მაგრამ ტყუილად: იქ ავაზაკი არავინ არ მისულა. ბოლოს შეიტყეს, რომ ის ცხენოსნები, რომელნიც მინდორში ბიჭს შეჰხვედრიყვნენ, თულაშვილის ნაცნობები, თუ ნათესავები ყოფილიყვნენ.

ეს ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ამბები აშკარად ამკიცებს ავაზაკების მიერ ჩვენს დაბრიყვებას, ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას ჲ მეორეს მხრით ჩვენს ლაჩრობასაც.

ავაზაკობა, ყაჩაღობა ახალი ხილი არ არის ჩვენთვის: ბევრი გვინახავს და გაგვიგონია, მაგრამ ასე მასხარად აგდება სამის კაცისაგან მთელის მაზრისა-კი, სწორედ მოგახსენოთ, არც გვინახავს ჲ არც გაგვიგონია. რამდენი ყოფილან წინადაც გავარდნილნი. რა ამბავს არ მოსთვლიან ხოლმე მოხუცებულები იმათ შესახებ, მაგრამ ამ ახალის რაინდების საქმე სხვა ნაირია. ყმაღ გაგვიხადეს და ის არის. იმას არა სჯერდებიან, რომ ხალხსა სძარცვავენ და ჰხოცავენ. რაღაც უცნაურის ქეიფისანი ყოფილან; ხანდახან ჟინი მოუვლით ხოლმე მასხარაობისა ჲ კარგადაც მასხარაობენ.

ერთის სიტყვით, როგორც გნებავთ ისე იანგარიშეთ, ჩვენს მაზრაში ყოველ გვარს ავ-კაცობას სჩადიან ხუზულურ-ხასიშვილები: დრამა გნებავთ, ტრაგედია, კომედია თუ ფარს-ვოდევილები.

თუ დრო არა, სწორედ სირცხვილია ჩვენი ასეთი ყოფა-ვითარება. განა მართლა შეუძლებელია ავაზაკების დაჭერა ან დახოცვა? იქნება ძლიერ ძნელი-კი იყოს, მაგრამ შეუძლებელი აქ არაფერია, თუ-კი რიგიანად გაისარჯებიან ხალხიც და პოლიციის მოხელენიც. ცალიერის ქაღალდების წერით არც არაფერი გაკეთებულა და არც არაფერი გაკეთდება.

# წვრილი ამბავი

ძველს დროში, თუ ავად გახდებოდა ვინმე, ექიმები ავადმყოფსავე სდებდნენ ბრალსა: თავის თავის მეტი სხვა არაფერი გაუხდება კაცს ავადმყოფობის მიზეზადაო. გავიდა დრო, მიიწურა მეცხრამეტე საუკუნე და ახლა ბაცილლების ხანა დადგა. ეხლა კაცი აღარაფერშია დამნაშავე: თუ ავად გახდება ვინმე, უთუოდ ბაცილლებმა უნდა გაჰხადონ ავადა. ადამიანის სხეული აწინდელმა მკურნალებმა ბაცილლების სამფლობელოდ და სამეფოდ აღიარეს. პატარაც რომ დავაცადოთ, იქნება კაცი სრულიადაც გააუქმონ, უარ-ჰყონ და მარტო ბაცილლებს-ღა დაუტოვონ ბურთი და მოედანი.

ამ საგნის შესახებ გაზეთს „Figaro"-ში ერთი მეფელეტონე სწერს თავისს ნაბაასევს ერთს ვიღაც მკურნალობის უარმყოფელთან:

— თქვენ, მგონი, მკურნალი კორიფი ბრძანდებით.

— სცდებით, მე მკურნალი არ გახლავარ. მართლაც, მე ვცდებოდი, რომ კორიფს მკურნალი დავარქვი—განაგრძობს მეფელეტონე: კორიფი თავისს თავს-კი არა, სხვასაც არავისა ჰრაცხს მკურნალად. ამას წინად პატარა წიგნაკი დაბეჭდა კორიფმა მკურნალობის შესახებ და პარიჟის მთავრობის საბჭოსთვის შემდეგი წინადადება მიუცია: სცადეთ ჩემის წესით ავადმყოფების რჩენა და, თუ ექვს თთვეზე არ შეატყოთ, რომ კარგს რასმე გირჩევთ, ასი ათასს ფრანკსს გადავიხდი საავადმყოფოს სასარგებლოდაო. იმ წერილში, რომლითაც ამ საგანზე მიჰმართა კორიფმა საბჭოს, ასი ათასი ფრანკის ჩეკიც იდო.

საბჭოს თავმჯდომარემ პასუხიც არ აღირსა და ეს ამბავი კორიფს ძლიერ ეწყინა: ვინ იცის იქნება შეშლილადაც ჩამთვალესო.

კორიფი, როგორც ეტყობა, დარწმუნებულია თავისის წესის სიკეთეზე. ამის დასამტკიცებელ საბუთად თავის თავი მოჰყავს. მართლაც, კორიფი 72 წლისაა და მიხვრა-მოხვრა და სიარული ისეთი აქვს, როგორც ახალგაზდა ოცდა-ხუთის წლისას.

კორიფის წესის ანი და ჰაე გაფრთხილება—ჰიგიენაა. მთელი ეს წესი შემდეგს დედა-აზრზეა დამყარებული და აშენებული: „თვით ბუნებას სხვის დაუხმარებლად, შეუძლიან და ღონეც მოეპოვება ავადმყოფის მორჩენადა"-აო. ამის გამოც კორიფს სიკვდილზე უარესად მკურნალებისა და მეაფთიაქეებისა ეშინიან.

ვისაც მაინც და მაინც ესიამოვნება მკურნალებთან ბაასით—ამბობს კორიფი: ფული მხოლოდ მაშინ უნდა აძლიოს, როცა კარგად არის, და არა მაშინ, როცა ავადმყოფობსო. თუ ასე მოიქცევა ხალხი, მაშინ მკურნალები იძულებულნი შეიქმნებიან, ყოველი ღონის ძიება იხმარონ, რომ ან ავად არავინ გახდეს, და თუ ავად გახდება, რაც შეიძლება მალე მოარჩინონო.

კორიფი რუსეთში დაიბადა, მაგრამ ოცს წელიწადზე მეტია, რაც პარიჟში სცხოვრობს. სადილობით კორიფი ყოველთვის თავისს ბაღში სადილობს ქუდ-მოხდილი. ადრევ თმამ ცვივნა დაუწყო და მხოლოდ იმითი შეირჩინა, რომ ხშირად უქუდო დადიოდა და ყოველ ცისმარე დღეს ცივის წყალით იბანდა თავსა და ცივს წყალშივე დასველებულის ხელის გულით იზელდა თმის ძირებს.

კაცის წამალი კორიფის აზრით, მხოლოდ ორი რამეა: წყალი და ჰაერი. ბევრჯელა სცადა ეს ღონის-ძიება და ყოველთვის კარგად გამოდიოდა საქმე. პეტერბურგის ერთს სასწავლებელში რაღაც სენი გაჩნდა და ყმაწვილები პანტაპუნტით იხოცებოდნენ. კორიფის რჩევით მდ. ნევიდგან წყალი გაიყვანეს ამ სასწავლებელში, რის გამოც მართლაც ყმაწვილებიც გამოსაღდნენ და სენიც სრულიად მოისპო.

ვინც კორიფის წიგნაკს წაიკითხავს, ასე ეგონება, პატარა შეშლილიაო, მაგრამ თუ პირადად მოელაპარაკა კაცი, მაშინ-კი სულ სხვა აზრზე დადგება.

კორიფი უარ-ჰყოფს ექიმებს და ამბობს, კაცის სხეულს წამლობა არ უნდა, ხელი არავინ უნდა ახლოსო: კაცები, რადგანაც წამლობა შემოიღეს, მალ-მალე ხდებიან ავად და ცხოველები-კი, რომელთაც ექიმები არ იციან, რა თითქმის ნიადაგ კარგად არიანო.

ვინც რა უნდა სთქვას, მაგრამ ეს-კი აშკარაა, რომ კორიფის წამალი—ჰაერი და წყალი—ძვირად არ დაუჯდება ავადმყოფს.

კორიფი ურჩევს ხალხს აუდუღებელ რძისა, ერბოსი, ყველისა და კარტოფილის ხმარებას და აგრეთვე სეირნობას, ხოლო ხორცის ჭამას, მაგარ სასმელების სმას, მადნეულ წყლების ხმარებას და თეატრებსა და სხვა ამ გვარს გასართობს-კი სრულიად უარ-ჰყოფს.

ამ წესის შესახებ ამბობდა კორიფი, სცადეთ და, თუ ექვსს თთვეზე არ დამეთანხმოთ, ასი ათასი ფრანკი შემომიწირავს ავადმყოფებისათვისაო.

# დეპეშა

3 ივლისს

**პეტერბურგი.** „Нов. Время" იუწყება, რომ სათემო უფროსებსა და ადმინისტრაციის სხვა მოხელეთ ებრძანათ, ვინიცობაა შეჰნიშნოთ სოფლად, რომ პურის სყიდვა-გასყიდვით ფულის მოგებას ეტანება ვინმე, დაუყოვნებლივ აუწყეთ საგუბერნიო ადმინისტრაციას, რათა დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნან მიცემულნიო.

„Гражданинъ"-ი იუწყება, რომ გერმანელების ახალშენებში სამხრეთად გადაწყვეტილია პირველ-დასაწყისის სკოლების გადაკეთებაო.

**პარიჟი.** იმ დროს, როცა პრეზიდენტი კარნო გუშინ შუადღის უკან „Avenne de la repubgne"-ს (რესპუბლიკის ხეივანი) გამართვას დაესწრო, ვიღაც კაცი მიუახლოვდა მის ეტლს და ხუთჯერ გაისროლა რევოლვერი ჰაერში. ის კაცი მაშინვე შეაპყრეს და აღმოჩნდა, რომ ჭკვათა-მყოფელი არ იყო. პრეზიდენტს

კარნოს ერი დიდის ალტაცებით მიეგება ყველგან, საცა-კი გაიარა.

**ლონდონი.** იმპერატორი ვილჰელმი იახტით „ჰოგენცოლერნი“ ნორვეგიის გაემგზავრა.

### პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 7, 28 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | $146^{1}/_{4}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | 1, 05 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 244 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | $211^{3}/_{4}$ | — ,, | $210^{3}/_{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის სამმართველოში და „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში.

### ჯიორჯი ვაშინგტონი

თარგმანი ნ. ბარნაბიშვილის მიერ,
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 30 კაპ.

(3—0—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
### წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |

---

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

## „ძმური სიტყვა“

### დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;
ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;
გორში არსენ კალანდაძესთან;
თელავში ილია ზარაფოვთან;
სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.
ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—6)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

### ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემორე მოხსენებულს რიცხვებში ქ. ქუთაისში, ბანკის გამგეობის სადგურში, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკიდ ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბინკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 28 აგვისტოს 1891 წელსა.

ვაჭრობა 12 აგვისტოს 1891 წელსა

### $18^{7}/_{12}$ წლიანნი სესხნი

### ქ. ქუთაისს

კარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემენცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15, 42 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 193 მან. 7 კაპ, შესავს. გარდასახადი 67 მან. 90 კაპ., სულ 260 მან 97 კაპ.

დარასხველიძისა, მიხაილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 312 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2182 მან. 77 კაპ. შეს. გარ. 500 მან. 76 კაპ., სულ 2683 მან. 53 კაპ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის; ვოკზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 3835 მან. 50 კაპ. შეს. გარ. 957 მან. 12 კაპ., სულ 4792 მან. 62 კაპ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 997 მან. 20 კაპ. შესავ. გარ. 345 მან. 40 კაპ., სულ 1342 მან. 60 კაპ.

დიასამიძეთა, ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1068 მან. 8 კაპ. შეს. გარ. 248 მან. 8 კაპ., სულ 1316 მან. 16 კაპ.

მიქელაძისა, ეკატირინა კონსტანტინეს ასულის: ორპირის ქუჩაზე სამოსახლო ადგილი, ზომით 442 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 640 მან. 70 კაპ. შეს. გარ. 152 მან. 80 კაპ., სულ 793 მან. 50 კაპ.

მემკვიდრეთა ფარცვანიძისა, ივანე დავითის ძის: მიხაილის წუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა $50^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1068 მან. 8 კაპ. შეს. გარ. 260 მან. 48 კაპ., სულ 1328 მან. 56 კაპ.

ალიბეგოვთა, ალექსანდრე, იოსებ და ივანე ხვთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 545 მან. 6 კიპ. შეს. გარ. 178 მან. 25 კაპ., სულ 723 მან. 31 კაპ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 54 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 583 მან. 75 კაპ., შეს. გარ. 140 მან. 7 კაპ., სულ 723 მან. 82 კაპ.

მემკვიდრეთა მურვანოვისა, პეტრე სიმონის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 210 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 116 მან. 92 კაპ. შეს. გარ. 39 მან. 70 კაპ., სულ 156 მან. 62 კაპ.

ალიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე ივანე ხვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 505 მან. 96 კაპ. შეს. გარ. 131 მან., სულ 636 მან. 96 კაპ.

ჩოგოვაძისა ვასილ ოქროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 252 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 55 მან. 23 კაპ., სულ 308 მან. 10 კაპ.

ლორთქიფანიძისა ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 815 მან. 51 კაპ. შეს. გარ. 165 მან. 75 კაპ., სულ 981 მან. 26 კაპ.

რუხაძისა კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 630 მან. 23 კაპ. შეს. გარ. 104 მან. 37 კაპ., სულ 734 მან. 60 კაპ.

გეგელაშვილისა ანტონ სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 439 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 483 მან. 61 კაპ. შეს. გარ. 113 მან. 60 კაპ., სულ 597 მან. 21 კაპ.

ყულენტისა ანტონ სპირიდონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 198 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1509 მან. 27 კაპ. შეს. გარ. 220 მან. 66 კაპ., სულ 1729 მან. 93 კაპ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა ნიკოლოზ ენოქის ძის: ქარვანსარაიის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით, და მიწა 36 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 5803 მან. 20 კაპ. შეს. გარ. 1040 მან. 53 კაპ., სულ 6843 მან. 73 კაპ.

მესხისა მიზარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 189 კვადრ. საჟ. თავ-